საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის ილია ვეკუას

ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №21

ქ. თბილისი

24 მარტი 2020 წ.

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის №23 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს გენერალური დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №77 და №79 ბრძანებების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დაევალოს:

1. ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და ადამიანური რესურსების მართვის უფროს სპეციალისტს, უზრუნველყონ დაქვემდებარებული თანამშრომლების გაფრთხილება და შესრულების კონტროლი **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://COVID.MOD.COV.GE/) განთავსებული ელექტრონული კითხვარის დაუყონებლივ შევსებასა და კითხვარისათვის მინიჭებული გენერირების კოდის შენახვასთან დაკავშირებით.**
2. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს:
   2.1. მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ და ფლობდნენ ინფორმაციას მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჯანმრთელობის შესახებ, საეჭვო სიმპტომების შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობონ ინსტიტუტის დირექტორს.
   2.2. დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე მყოფ თანამშრომლებზე გეგმიური სამუშოების დისტანციურად შესრულებად **ინდივიდუალურ დავალებებზე მკაფიოდ განსაზღვრონ შესრულების ვადები და განახორციელონ კონტროლი.**
   2.3. დისტანციური სამუშაო რეჟიმის პერიოდში აღმოუჩინონ განსაკუთრებული მხარდაჭერა და წაახალისონ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, რომლებიც იმუშავებენ ახალ საპროექტო წინადადებებზე, კონსტრუქტორულ გადაწყვეტილებებზე, პროგრამულ პროდუქტებზე და სამეცნიერო სტატიებზე.

2.4. ყოველ ორშაბათს ინსტიტუტის დირექტორს მიაწოდონ ინფორმაცია 2.2 და 2.3 პუნქტების შესრულების მიმდინარეობაზე, წერილობით ხელმძღვანელის კომენტარებით.

2.5. უზრუნველყონ (ადამიანური რესურსების მართვის და IT სპეციალისტებთან ერთად) დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართვა "WhatsApp" ჩათში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი № 6).

ინსტიტუტის დირექტორი გურამ ბოკუჩავა